1454/3-2/22 2 17022022

1454/3-2/22
17-02-2022

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გიორგი ხარჩილავას

ბატონო გიორგი,

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი სოფელ ფოცხოეწერის დევნილთა დასახლებასთან დაკავშირებით, შემდეგი სახის ინფორმაციას ავრცელებს:

„დასახლებამდე მისასვლელი ცენტრალური გზა და ხიდი დაზიანებულია, რის გამოც სოფელი ფაქტობრივად მოწყვეტილია გარე სამყაროს. დასახლებას არ ემსახურება მუნიციპალური ტრანსპორტი, მოსახლეობას აქვს სასმელი წყლის, სარწყავი არხების, კანალიზაციის პრობლემა, დასამონტაჟებელია გარე განათება. საკუთრებაში არ აქვთ გადაცემული სასოფლო სამეურნეო მიწები, ასევე არ არის რეგისტრირებულ/დაკანონებული სახლები.“

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის თანახმად გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია, მიწის აღიარების კომისიის ფარგლებში, მიმდინარეობს თუ არა ფოცხოეწერში მცხოვრებ დევნილთა მიწის აღიარების საკითხის განხილვა?

არის თუ არა 2022 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული აღნიშნული სოფლის დევნილი მოსახლეობის პრობლემების მოგვარება და რა თანმიმდევრობით?

პატივისცემით

პარლამენტის წევრი
თეონა აქუბარდია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSALENJIKHA MUNICIPALYTY

წერილის ნომერი: **126-1262206986**
თარიღი: **10/03/2022**
პინი: **2738**

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

საქართველოს პარლამენტის წევრს

ქალბატონ თეონა აქუბარდიას

ქალბატონო თეონა,

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული თქვენი წერილი შესწავლილიქნა და პასუხად გაცნობებთ: დემოკრატიული კვლევის ინსტიტუტის მიერ გავრცელებული ზოგიერთი ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს: ფოცხო-ეწერის დასახლება არაა პარალიზირებული და არაა გარე სამყაროს მოწყვეტილი, გზა არაა იდეალურ მდგომარეობაში, მაგრამ ნებისმიერი ტიპის ტრანსპორტით გადაადგილება შესაძლებელია, ხიდი გამართულია, მასზე ჩვეულებრივ მძიმე ტონიანი და დიდ გაბარიტიანი ნებისმიერი ტვირთის გადატანაა შესაძლებელია (წარმოადგენს ცენტრალურ ხიდს მდ. ენგურზე), ხოლო რაც შეეხება მუნიციპალურ ტრანსპორტის მომსახურებას, გაცნობებთ რომ წალენჯიხის მერიას მუნიციპალური ტრანსპორტი არ გააჩნია, ადგილობრივებს კერძო გადამზიდები ემსახურება. გარე განათება მოწყობილია დასახლებაში, სამელი წყლის და საკანალიზაციო სისტემების პრობლემა არსებობს, წყალი მოსახლეობას შეფერხებით მიეწოდება. დაზიანებულია საკანალიზაციო ქსელი. სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხები ძირითადად მრავალბინიანი საცხოვრებელი სარდაფებში საკანალიზაციო ქსელის მოწესრიგებას, მაგისტრალის რეაბილიტაციის, სანიაღვრე სისტემების მოწესრიგებას გარე განათებას და სხვა სახის პროექტებს ხმარდება, ასევე განათების, წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემების მოვლა-შენახვას შესაძლებლობის ფარგლებში უწრუნველყოფს ააიპ ,,ჯვარის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“. ხოლო სარწყავი არხების სისტემა საერთოდ მუნიციპალიტეტში არ არსებობს. ხოლო ამჟამად მიწაზე საგუთრების აღიარება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას არ წარმოადგენს. რაც შეეხება სოფლის დახმარების პროგრამას, მიმდინარე წელს გამოყოფილი თანხა შეადგენს 12000 ლარს, განსახორციელებელი პროექტები დაიგეგმება პრიორიტეტების სახით საერთო სოფლის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით, რომელიც დაგეგმილია მიმდინარე წლის 5 აპრილს.

გიორგი ხარჩილავა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

5200 ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.# 5. ტელ: 599647050
5200 K.SALIA ST. #5. TSALENJIKHA,GEORGIA TEL: 599647050
WWW. TSALENJIKHA.GOV.GE E-MAIL. TSALENJIKHAMERIA@TSALENJIKHA.GOV.GE